

იამზე ვაშაკიძე

კავკასიის უნივერსიტეტი, თბილისი

iamzevashakidze@gmail.com

საკვანძო სიტყვები: ახალციხის ციხე, ლომსია / ლომსიანთა, რაბათი.

ტოპონიმ „ახალციხის რაბათის“ საკითხისათვის ტარიელ ფუტყარაძის ჩანაწერების მიხედვით

როგორც ყველასათვის ცნობილია, 2011-2012 წლებში ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების შედეგად აღდგა ქალაქ ახალციხის ციხე, კერძოდ: გალავანი და ციხის ზედა ნაწილში არსებული ძეგლები¹, რამაც ისტორიული ქალაქი ტურიზმისათვის კიდევ უფრო მნიშვნელოვან ცენტრად გადააქცია.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, ბუნებრივია, გავრცელდა ინფორმაცია სოციალურ ქსელებში, განსაკუთრებით, ტურისტული სარეკლამო სააგენტოების გვერდებზე და თავი იჩინა ერთმა არასახარბიელო ენობრივმა მოვლენამ: ახალციხის განახლებული ციხის აღსანიშნავად გაჩნდა უმართებულო სახელწოდებები: *რაბათის ციხე*, *რაბათის ციხესიმაგრე*, *რაბათი*, *ციხე რაბათი*.

წარმოვადგენთ რამდენიმე მაგალითს (თუმცა მათი რაოდენობა დიდია)²:

- „*რაბათის ციხე* – ისტორიული ციხე სამცხე-ჯავახეთის მხარის ადმინისტრაციულ ცენტრში“.
<https://georgiantravelguide.com › rabatis-tsikhe>
- „*რაბათის ციხე-სიმაგრე* მდებარეობს ქალაქ ახალციხეში“.
<https://www.airgeo.org › akhaltsikhe › rabati-fortress>
- „ავიატური ვარძია-რაბათი...“
<https://ticket.vanillasky.ge/ge/node/47>

¹ ციტადელი, IX-X სს-ის მართლმადიდებლური ტაძარი, ჰაჯი ახმედ-ფაშა ჯაყელის სახელობის მეჩეთი, მედრესე, მინარეთი და ჯაყელების სასახლე, სადაც განთავსდა სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის საგამოფენო დარბაზი.

² ქვემოთ წარმოდგენილი ინტერნეტმასალების მოძიების თარიღია 07.12.2021

- „ციხე რაბათი დღეს...“
<https://www.airgeo.org/ka/regions/samtskhe-javakheti/akhaltsikhe/rabati-fortress/>

არის ისეთი მაგალითებიც, როცა ძირითად სახელად წარმოდგენილია *რაბათი* და გვერდით, ფრჩხილებში, განმარტების სახით, მითითებულია *ახალციხე* ან პირიქით:

- „*ახალციხის (რაბათის) ციხე... მდებარეობს... მდინარე ფოცხოვის ნაპირზე, ზღვის დონიდან 1000 მეტრზე*“.
<https://www.akhaltsikhe.ge/ge/istoria>
- „სურათები *რაბათის (ახალციხე) ციხისთვის*“
<https://www.google.com/search?rlz> და სხვ.

მართალია, აღნიშნული სახელები ჯერ ოფიციალურ ტოპონიმებად არ განიხილება, მაგრამ, ერთი მხრივ, სოციალურ ქსელებსა თუ არაფორმალურ საუბარში ხშირი გამოყენება და, მეორე მხრივ, საზოგადოებისაგან ყურის შეჩვევა მათი დაკანონების წინაპირობას ქმნის.

აღნიშნული პრობლემა შეუმჩნეველი არ დარჩენილა დარგის სპეციალისტთათვის; ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ პროფ. ტარიელ ფუტკარაძის 2020 წლის 27 ივლისის ჩანაწერზე, რომელსაც სრულად წარმოვადგენთ:

„ახალციხის რაბათის“ შესახებ:

ასეთი სახელწოდება ყოველგვარ ლოგიკასაა მოკლებული!

„რაბათი“ ირანულ და თურქულენოვან სამყაროში ციხის გარშემო არსებულ დასახლებას ნიშნავს. ნომადი ბარათიას ცნობით, رباط [rebât // rabât] არაბული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს „თავშესაფარს“, „ფუნდუკს“, „ქარვასლას“ (რომელიც აშენებულია ქველმოქმედთა მიერ).

თურქულენოვან ველში ეს სიტყვა ფართოდ გამოიყენება და ციხექალაქის გარშემო არსებულ დაუცველ დასახლებას ნიშნავს.

ოსმალური ოკუპაციის შემდეგ საქართველოში ზევრი ადგილის სახელს (ტოპონიმს) კომპოზიტის მეორე ნაწილად აქვს „რაბათი“, მაგ., მხოლოდ ზემო აჭარაში რამდენიმე „ციხის რაბათია“:

იორამის / შუბნის ციხის რაბათი,

ხიხაძირის / ხიხანის ციხის რაბათი,

ტბეთის ციხის რაბათი,

კავიანის ციხის რაბათი,

ოთალთას ციხის რაბათი,

მახალაჟიძეების ციხის რაბათი...

ახალციხეს ადრე ერქვა „ლომსია“ (< ლომისა).

ახალციხის ციხის ძველი სახელია „ლომსიას ციხე“.

„რაბათი“ სიტყვის მნიშვნელობას თუ გავიაზრებთ, ციხის ლოგიკური სახელწოდებაა „ახალციხის ციხე“. ძველ ქართულ სახელს თუკი აღვადგენდით, ახალრეკონსტრუირებულ ციხეს უნდა დარქმეოდა „ლომსიას ციხე“ და არა ყოვლად ულოგიკო: „ახალციხის რაბათი“. „ახალციხის რაბათი“ ნიშნავს, არც მეტი, არც ნაკლები, ახალციხეში არსებული ციხის გარშემო დასახლებას და არა ციხეს. შესაბამისად, სახელწოდება: „ახალციხის რაბათი“ არ გულისხმობს ციხეს. ციხე-ქალაქის სახელწოდებად უნდა დამკვიდრდეს „ლომსიას ციხე-ქალაქი“ ან, უკიდურეს შემთხვევაში, ახალციხის ციხე-ქალაქი, ნაცვლად „რაბათის ციხისა“. იმედი მაქვს, ისტორიული სამართლიანობა ათწლეულების მანძილზე მაინც დაამკვიდრებს მართებულ ვარიანტს.

ჩანაწერიდან ჩანს, რომ ავტორი წამოჭრის ლოგიკურად სწორი ტოპონიმის დამკვიდრების საკითხს და ორ ალტერნატიულ ვარიანტს წარმოგვიდგენს: *ახალციხის ციხე-ქალაქი* და *ლომსიას ციხე-ქალაქი*. ამ სახელთა რიგში იგი არ განიხილავს სიტყვა „რაბათის“ შემცველ ტოპონიმებს: *ახალციხის რაბათი*, *რაბათის ციხე*, გამომდინარე თვითონ რაბათის მნიშვნელობიდან. საკითხის ამგვარად დასმის საფუძველს მას აძლევს სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ინფორმაცია *ახალციხის*, *ლომსიას ციხისა* და *რაბათის* შესახებ.

ახალციხის ციხე და ლომსიას ციხე

როგორც ცნობილია, ქალაქი *ახალციხე* ზღვის დონიდან 1000 მეტრზე, მდ. ფოცხოვის ნაპირებზეა გაშენებული. მის შესახებ, ჩვენი ქვეყნის ძნელბედობიდან გამომდინარე, საკმაოდ მწირია მასალა ძველ წერილობით ძეგლებში, კერძოდ, „ქართლის ცხოვრებასა“ და თვით მესხეთის ისტორიის შემცველ... მატეანეებშიც“, როგორებიცაა: სამცხის მთავრების – ბექასა და აღბუღას (XIII–XIVსს.) შედგენილი „სამართლის წიგნი“ და „მესხური მატეანე“ (1561-1587 წწ.); იგივე შეიძლება ითქვას ოსმალთა მოხელეების მიერ XVI ს. ბოლოს შედგენილი საგადასახადო წიგნის – „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვითაც (კოჭორიძე 1969: 4).

ახალციხე ისტორიულ წყაროებში პირველად მე-12 საუკუნეში იხსენიება; თამარ მეფის სარდლები, ძმები: შალვა და ივანე ახალციხელები „მოხელეობის გზით ფლობდნენ მას“ (კოჭორიძე, დასახ. ნაშრ.,

გვ. 19-20); იგივე ცნობა უფრო ადრე დასტურდება თ. ჟორდანიასთან (ქრონიკები, 1897, გვ. 53, დამოწმ.: ლექსიკონი 2013: 78).

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული შეხედულებით, „ახალციხე (ციხეცა და ქალაქიც)... XI-XII საუკუნეშია წარმოქმნილი“ (ბერძენიშვილი 1966: 84). პროფ. მ. ბერიძე, იზიარებს რა ლ. ჭილაშვილის პოზიციას IX-XI საუკუნეებში „ფეოდალიზაციით შექმნილი ახალი ეკონომიკური ყოფის“ შედეგად ახალი ქალაქების განვითარებაზე, *ახალციხეს* (ისევე როგორც ახალქალაქს) „ახალი“ წარმოშობის ქალაქად მიიჩნევს (ბერიძე 2008: 84, 92). ასეთი პოზიცია, ბუნებრივია, არ გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ მოხერხებულ გეოგრაფიულ ადგილას (ქართლს, ჯავახეთს, აჭარა-იმერეთსა და ტაო-კლარჯეთს შორის სტრატეგიულ გზაჯვარედინზე) მდებარეობა ლოგიკურად განაპირობებდა აქ დასახლების მანამდე არსებობასაც (ამასვე მოწმობს გასული საუკუნის მე-2 ნახევარში ახალციხის „ამირანის გორაზე“ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებიც (ლექსიკონი 2013: 78). აღნიშნულ ვითარებას მისადაგება მ. ბერიძის მსჯელობა ტოპონიმიკაში *ძველისა და ახლის* მონაცვლეობაზე, რომ „ხშირ შემთხვევაში ახალი ქალაქების წარმოქმნა ძველის არსებობასაც ნიშნავდა“ (ბერიძე 2008: 83).

საკუთრივ, ტოპონიმი *ახალციხე* გამჭვირვალე სემანტიკისაა – როგორც შენიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, „ახალი აშენებული ციხის გამოა შერქმეული“ (ბერიძე 2008, 84). საგულისხმოა შემდეგი დაკვირვებები:

1. „სიტყვა *ახალი* // *ახალ* ტოპონიმებში მხოლოდ ისეთი სინტაგმის წევრია, რომლის მეორე ნაწილი ძირითადად დასახლებულ პუნქტს აღნიშნავს: *ახალქალაქი*, *ახალსოფელი*, *ახალდაბა*, *ახალციხე* და სხვა, ან ისეთ დასახლებულ პუნქტს, რომლის დასახლებაც ხდება. იყო სახელი და მისი ახალი ვარიანტი იქმნება, რომელიც შემდგომ იქცევა ტოპონიმად. *გორი* და *ახალგორი*...“;
2. ვიდრე ახალი ციხე შეიქმნებოდა, მას „რადაც სხვა სახელი ერქმეოდა“ (იქვე, 87: 92).

მკვლევართა ნაწილის ვარაუდით, ახალციხის თავდაპირველი სახელი იყო *ლომსია*.¹ ვახუშტი ბაგრატიონი (XVIII ს.) თავის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ახალციხეზე შემდეგ ინფორმაციას

¹ *ლომსია* უნდა მომდინარეობდეს *ლომისადან* (კოჭორიძე, 1969, გვ. 19, მე-3 სქოლიო).

გვთავაზობს: „აქა არს ახალციხე ქალაქი, ფერსათის მთის კერძოთ ჩამოსულს კლდესა ზედა. არს ციხე ქალაქის თავს (ამას ვგონებ *ლომსიად*, ვინადთგან, ისახელების რა ახალციხე ცხოვრებასა შინა, არღარა მოიხსენების მერმე *ლომსია*“ (ქართლის ცხოვრება, IV, 1973: 663).

ლომსიას // *ლომსიანთას* ციხე აუგია გუარამ მამფალს, აშოტ I კურაპალატის ძეს IX საუკუნის II ნახევარში. ამასთან დაკავშირებით, დ. კოჭორიძე თავის წიგნში: „მესხეთის განახლებული ქალაქი / ახალციხის ისტორია“ იმოწმებს „მატიანე ქართლისაჲში“ დაცულ ცნობას, რომ მე-9 საუკუნეში აფხაზთა მეფის – ბაგრატის ცოლისძმამ „ნასრა შეიპყრნა სამნი ციხენი სამცხეს: ოძრხე, ჯუარის-ციხე და *ლომსიანთა*, გუარამისივე აშენებული“ (მატიანე ქართლისაჲ, ქ. ცხ. , I, 261, დამოწმ. კოჭორიძე 1969: 17). დ. კოჭორიძისავე მოსაზრებით, გუარამ მამფალის აგებული ციხეებიდან *ლომსია*¹ „დღესდღეობით ახალციხის ძველ ციხედ და თვით ქალაქის პირვანდელ სახელწოდებად უნდა მივიჩნიოთ“ (იქვე: 18-19). ამავე პოზიციას იზიარებენ სხვა მკვლევრებიც (აფრასიძე 1974: 182; მესხია 1983: 90).

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ვახუშტი ბატონიშვილის ცნობის საფუძველზე „ახალციხის, როგორც ციხის და ასევე ქალაქის მოხსენიების დროდაც“ მე-9 საუკუნე უნდა იქნეს მიჩნეული (ბერიძე 2008: 94).

ივ. ჯავახიშვილი *ახალციხეს* და *ლომსიანთას* სხვადასხვა ადგილის სახელებად მიიჩნევს. მისი სიტყვებით, „გუარამ მამფალის აგებული ციხე *ლომსიანთა*... ეხლანდელს ლომიანთას უდრის“ (ჯავახიშვილი 1983: 57). ნ. ბერძენიშვილი, იზიარებს რა ი. ჯავახიშვილის მოსაზრებას, წერს, რომ „ვახუშტის არგუმენტი საკმაო არაა: თვით სახელწოდება *ახალციხე* ასეთ მოსაზრებაში შეეჭვების საფუძველს იძლევა. ვახუშტის თავის მოსაზრების დასაცავად დასჭირდებოდა დამტკიცებინა, რომ გუარამ მამფალის მიერ აგებული ციხე ლომსიანთა XI საუკუნეში ისე საფუძვლიანად გადაკეთდა, რომ მას სახელიც გამოუცვალეს და ახალციხე უწოდეს...“ (ბერძენიშვილი 1966: 84).

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, ტოპონომი *ლომსია* ახალციხის თავდაპირველ სახელად აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, თუმცა, სათა-

¹ ეს ტოპონიმი კიდევ რამდენიმე ადგილას არის ნახსენები ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომში: „...სამთა ციხეთათვის *ლომ(ს)ისა*“ (გვ. 658, 1); „...პირველ წოდებული ღადო და *ლომსია*“ (გვ. 668, 17, სქოლიო); „სამკრით მთა ფერსათი, ანუ ღადოთ, ანუ *ლომსიათ* წოდებული“ (გვ. 772, 10).

ნადო არგუმენტების არარსებობის გამო, არც იმის საფუძველი გვაქვს, ეჭვი შევიტანოთ ვახუშტი ბატონიშვილისეული ცნობის მართებულობაში. აქედან გამომდინარე, ახალციხის განახლებული ციხის სახელის ალტერნატიულ ვარიანტად შესაძლებელია დავუშვათ *ლომსიას ციხე* // *ციხე-ქალაქი*.

როგორია მიმართება *ახალციხის ციხესა* და *ლომსიას ციხეს* შორის?

ტ. ფუტკარაძე, პირველ რიგში, *ლომსიას ციხეს* ანიჭებს უპირატესობას.

გავრცელებულობის თვალსაზრისით, უპირატესობით სარგებლობს *ახალციხის ციხე*, *ლომსიას ციხესთან* დაკავშირებით კი ჩვენ წინაშე წამოიჭრება ისტორიული ტოპონიმის აღდგენის საკითხი, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება ენობრივი პოლიტიკის დაგეგმვას, ისევე როგორც სხვა ქართველოლოგიური კვლევები.

ისტორიულ ტოპონიმიაში ჩვენ ვგულისხმობთ ისეთ ადგილის სახელებს, რომელთაც, სრულად თუ ნაწილობრივ, წყვეტა განიცადეს ერის ისტორიულ მეხსიერებასთან. ამ კუთხით ჩვენთვის საყურადღებოა პროფ. მ. ბერიძის სიტყვები: „დღეს ...ჩვენ ტოპონიმიაში ვაცოცხლებთ ისტორიას, არამარტო ადგილის ისტორიას, არამედ სიტყვის ისტორიასაც“ (ბერიძე 2008: 88). შესაბამისად, ვფიქრობთ, ისტორიული ტოპონიმის შენარჩუნება უნდა ნიშნავდეს არა მხოლოდ მის ისტორიულ წყაროებში მოძიებასა და სამეცნიერო ლიტერატურაში ასახვას, არამედ ყოველ ლოგიკურად განპირობებულ შემთხვევაში (როცა ამის საფუძველი არსებობს), *გააქტიურებას* – აღდგენას, წინ წამოწევას. ტოპონიმი *ლომსია* (// *ლომსიას ციხე-ქალაქი*) სწორედ ამ ნიშნით პირველობს, გარდა იმისა, რომ წარმოების თვალსაზრისით უფრო მოქნილია – მარტივი ფუძისაა.

რაც შეეხება *რაბათს*:

დღეს *რაბათი* ქალაქ ახალციხის ისტორიული უბნის სახელია; ის არაბული წარმომავლობის სიტყვაა და ქართულში ენათა კონტაქტების გზით არის გაჩენილი. *რაბათი* ძველ ლექსიკოგრაფებთან (საბა, ნ. და დ. ჩუბინაშვილები) არ დასტურდება; ჩანაწერის თანახმად, მართლაც, ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ მისი დამკვიდრება ენაში უნდა მომხდარიყო „ოსმალური ოკუპაციის“ და არა არაბობის შემდეგ (შდრ., ბერიძე 2008: 95).

ჩანაწერში, ძირითადად, წარმოდგენილია რაბათის ორი განმარტება; პირველი, ფაქტობრივად, იდენტურია მ. ჭაბაშვილის უცხო სი-

ტყვათა ლექსიკონში არსებული ინფორმაციისა: *რაბათ-ი* „[არაბ. Rabat]” – „შუა აზიისა და სპარსეთის ქალაქებში მე-7–8 სს.-ში: ხელოსნებითა და ვაჭრებით დასახლებული გარეუბანი; „მე-9–10 სს.-ში ხდება აღმოსავლური ფეოდალური ქალაქის ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ცენტრად“ (ჭაბაშვილი 1989: 420).

ნ. ბართაიას მიერ მოწოდებული (მეორე) განმარტების თანახმად, *რაბათი* „رَبَّات [rebât // rabât]... ნიშნავს „თავშესაფარს“, „ფუნდუკს“, „ქარვასლას“ (რომელიც აშენებულია ქველმოქმედთა მიერ (იხ. ზემოთ).

სამეცნიერო ლიტერატურაში ასევე ცნობილია მეტ-ნაკლებად განსხვავებული განმარტებებიც; მაგ.:

„*რაბათში* იგულისხმება გამაგრებული გეოგრაფიული პუნქტი სამოქალაქო მოსახლეობით, ...იგი ციხე-ქალაქის განაპირა, ვაჭარ-ხელოსნებით დასახლებული უბანია, სადაც თავმოყრილია სავაჭრო სახლები, ადმინისტრაციული დაწესებულებანი და სხვა მისთანანი“ (დ. კოჭორიძე 1969: 22);

რაბათი „გამაგრებულ სამხედრო ბანაკს ჰქვია“ (მ. ბერიძე 2008: 274).

მ. ბერიძე ასევე წარმოადგენს რაბათის განმარტებას „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით: „ნიშნავს ციხესიმაგრის მქონე იმ ადგილს, სადაც სახელმწიფო გამოსაღებით დაბეგრული სამოქალაქო მოსახლეობა თავმოყრილი“ (ს. ჯიქია, „გ.ვ.დ.დ“, წ.მე-3, 1958: 49. დამოწმ.: ბერიძე 2008: 275–276).

რაბათის ახალციხესთან მიმართების თვალსაზრისით, საყურადღებოა სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრებები, კერძოდ, დ. კოჭორიძის მიხედვით, „ძველი ახალციხე... დიდსა და მნიშვნელოვან სიმაგრეს წარმოადგენდა, შედგებოდა 3 ნაწილისგან: ქალაქის, ციხესიმაგრისა და ციტადელისაგან (შიდა ანუ დედაციხე)“; „ახალციხეს ჰქონია „უბანნი“ და „გარეუბანნი“. იქ ადრიდანვე ცნობილი იყო ორი ძირითადი უბანი: *ციხის უბანი*, სადაც ქალაქის მდიდარი, პრივილეგიური არისტოკრატიული ნაწილი ცხოვრობდა და *რაბათის* ანუ *ციხის განაპირა* (ხაზი ჩვენია – ი.ვ.), ვაჭარ-ხელოსნებით და ღარიბებით დასახლებული უბანი. მათ შემდეგში ემატება *ეზრაელთა უბანი*. აღნიშნული უბნები თავის მხრივ იყოფოდა უფრო პატარა უბნებად და ქუჩებად“ (კოჭორიძე 1969: 59).

შდრ., მ. ბერიძე: „ადგილს, რომელსაც ახალციხეში ვუწოდებთ *რაბათს*, თავის დროზე იყო მთელი ქალაქი: თავისი ციტადელით, გა-

ლაენით და მოსახლეობით... მთელი ქალაქი განლაგებული იყო ციხის გარშემო და ციტადელში“ (ბერიძე 2008: 276). მკვლევრის შენიშვნით, „რაბათი არ მოიხსენიება არც ვახუშტი ბატონიშვილთან და არც რუსების მიერ ქალაქის აღებისას, რადგან ახალციხე არის დასახლებული პუნქტის სახელი, ხოლო რაბათი... სახელმწიფო გამოსაღებით დაბეგრილი სამოქალაქო მოსახლეობა“; „როდესაც მოსახლეობა გასცდა ციხესიმაგრეს, გამოიკვეთა ისტორიული ნაწილი როგორც უბანი და იქცა საკუთარ სახელად“ (იქვე, 279).

ზემოთ წარმოდგენილ მასალაში (მიუხედავად არსებული მცირე განსხვავებებისა), აშკარად იკვეთება ჩანაწერის ავტორის პოზიციის გამამყარებელი ლოგიკური მოცემულობა, კერძოდ: *რაბათის* ძირითადი მნიშვნელობაა *ციხის გარეუბანი* (და არა ციხე). შესაბამისად, უმართებულოა ციხის სახელად სიტყვა *რაბათის* [არაბ. Rabat] მონაწილეობით შედგენილი ფორმები (ახალციხის რაბათი, რაბათის ციხე...).

ჩანაწერში წარმოდგენილ მსჯელობას დავამატებდით, რომ ალოგიზმია ციხე-ქალაქის სახელად მისი უბნის სახელის განზოგადება, მით უმეტეს, მაშინ, როცა ციხე-ქალაქის სახელი *ახალციხე* აქტიური ტოპონიმია.

„რაბათის ციხე“ ტიპის უმართებულო სახელწოდებების გაჩენის 2 მიზეზს გამოვყოფთ:

1) სიტყვა *რაბათის* მნიშვნელობის არცოდნა – როგორც შენიშნავს მ. ბერიძე, ტოპონიმია, მართალია, შემოინახა ეს სიტყვა, მაგრამ მისი „სოციალური ფუნქციის დაკარგვის“ შემდეგ თანდათან მნიშვნელობაც გაბუნდოვანდა მოსახლეობისთვის (ბერიძე 2008: 275);

2) სახელდების უმართავი, სტიქიური პროცესი, რაც შესაბამისი სტრუქტურების უყურადღებობით არის გამოწვეული.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენი მიზანი იყო, პროფ. ტ. ფუტყარაძის ჩანაწერის მიხედვით, მსჯელობის საგნად გვექცია, ერთი მხრივ, იმ უმართებულო სახელწოდებების საკითხი, რომლებიც სოციალურ ქსელებში გაჩნდა *ახალციხის ციხის* პარალელურად, ხოლო მეორე მხრივ, დაგვედგინა მიმართება ლოგიკურ ალტერნატიულ ტოპონიმთა შორის.

არსებული სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე მივედით შემდეგ დასკვნებამდე:

1. ჩანაწერის ავტორის პოზიციის თანახმად, გაუმართლებელია *ახალციხის ციხის* // *ციხექალაქის* სახელად სიტყვა *რაბათის* [არაბ. Rabat] მონაწილეობით შედგენილ სახელწოდებათა

- („ახალციხის რაბათი“, „რაბათის ციხე“...) გამოყენება, გამო-
მდინარე ამ სიტყვის მნიშვნელობიდან (ციხის გარეუბანი);
2. ალოგიზმია ციხე-ქალაქის სახელად მისი უბნის სახელის
განზოგადება, მით უმეტეს, მაშინ, როცა ციხე-ქალაქის სახე-
ლი *ახალციხე* – დღეს ტოპონიმად აქტიურად გამოიყენება.
ეს შეუსაბამობა გამოწვეულია ორი მიზეზით: 1) სიტყვა *რა-
ბათის* მნიშვნელობის არცოდნა; 2) სახელდების უმართავი,
სტიქიური პროცესი, რაც შესაბამისი სტრუქტურების უწყ-
რადღებობით არის გამოწვეული;
 3. მართებულ ალტერნატიულ ტოპონიმებს შორის, გავრცელე-
ბულობის თვალსაზრისით, უპირატესობით სარგებლობს
ახალციხის ციხე; *ლომსიას ციხესთან* დაკავშირებით კი
დგას *ისტორიული ტოპონიმის აღდგენის საკითხი*, რომე-
ლიც მჭიდროდ უკავშირდება *ენობრივი პოლიტიკის დაგეგ-
მვას*, ისევე როგორც სხვა ქართველოლოგიური კვლევები;
 4. ისტორიულ ტოპონიმიაში ვგულისხმობთ ისეთ ადგილის სა-
ხელებს, რომელთაც, სრულად თუ ნაწილობრივ, წყვეტა
განიცადეს ერის ისტორიულ მეხსიერებასთან;
მათი შენარჩუნება უნდა ნიშნავდეს არა მხოლოდ ისტორი-
ულ წყაროებში მოძიებას და სამეცნიერო ლიტერატურაში
ასახვას, არამედ ყოველ ლოგიკურად განპირობებულ შე-
მთხვევაში (როცა ამის საფუძველი არსებობს), *გააქტიურე-
ბას* – აღდგენას, წინ წამოწევას. ტოპონიმი *ლომსია* (// ლომ-
სიას ციხე-ქალაქი) სწორედ ამ ნიშნით არის საყურადღებო,
გარდა იმისა, რომ წარმოების თვალსაზრისით, უფრო მო-
ქნილია – მარტივფუძიანია.

ლიტერატურა

აფრასიძე 1974 – გ. აფრასიძე, ფეოდალური ქალაქის წარმოქმნა
საქართველოში, საისტორიო კრებული, IV, თბილისი.

ბერიძე 2008 – მ. ბერიძე, მესხეთის ტოპონიმთა სტრუქტურისა
და ისტორიისათვის, „ნეკერი“, თბილისი.

ბერძენიშვილი 1966 – ნ. ბერძენიშვილი, გზები რუსთაველის
ეპოქის საქართველოში, თბილისი.

კოჭორიძე 1969 – დ. კოჭორიძე, მესხეთის განახლებული ქალაქი
/ ახალციხის ისტორია/, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.

მესხია 1983 – შ. მესხია, საისტორიო ძიებანი, ტ. II, თბილისი.

ქართლის ცხოვრება, IV, 1973.

ჯავახიშვილი 1983 – ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი II, „მეცნიერება“, თბილისი.

ლექსიკონები

აბულაძე 1973 – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, „მეცნიერება“, თბილისი.

ლექსიკონი 2013 – გ. გამყრელიძე, დ. მინდორაშვილი, ზ. ბრაგვაძე, მ. კვაჭაძე, ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, თბილისი.

ორბელიანი 1966 – ს.ს. ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV-2, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.

ქეგელი, 1966, ტ. VI, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

ჩუბინაშვილი 1961 – ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.

ჩუბინაშვილი 1984 – დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.

ჭაბაშვილი 1989 – მ. ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, „განათლება“, თბილისი.

ინტერნეტწყაროები:

პროფ. ტარიელ ფუტკარაძის 2020 წლის 27 ივლისის ფეისბუქპანაწერი.

ინტერნეტმასალები (მოძიების თარიღი: 07.12. 2021):

- <https://georgiantravelguide.com › rabatis-tsikhe>
- <https://www.airgeo.org › akhaltsikhe › rabati-fortress>
- <https://ticket.vanillasky.ge/ge/node/47>
- <https://www.airgeo.org/ka/regions/samtskhe-javakheti/akhaltsikhe/rabati-fortress/>
- <https://www.akhaltsikhe.ge/ge/istoria>
- <https://www.google.com/search?rlz>

Iamze Vashakidze

Caucasus University, Tbilisi

iamzevashakidze@gmail.com

Keywords: The Akhaltsikhe Castle Lomsia/Lomsianta; Rabat.

Towards the Issue of the Toponym “The Rabat of Akhaltsikhe” Based on the Notes by Professor Tariel Putkaradze

Summary

As it is known, as a result of the restoration works carried out in 2011-2012, the Akhaltsikhe Castle, namely, the fortress and the monuments in the upper part of the castle, which turned the historical city into an even more important center for tourism, were restored. According to the mentioned fact, incorrect names appeared on social networks and pages of tourist advertising agencies, namely, Rabati Castle, The fortress of Rabati, Rabati, and Castle Rabati.

Our goal was to discuss the issue of the mentioned unreasonable, incorrect names, according to the notes of Prof. T. Putkaradze, on the one hand, and on the other hand, to determine the relationship between logical alternative place names.

1. According to the position of the author of the record, it is unjustified to use the word Rabati [Arab. Rabat] the use of names composed with the participation (Rabati of Akhaltsikhe, Rabati Castle,...), based on the meaning of this word (the suburb of the castle);
2. It is irrelevant to generalize the name of its district to the name of the fortress-city, especially when the name of the fortress-city, Akhaltsikhe, is an actively functioning place name today. This irrelevance comes out from two reasons: 1) lack of knowledge of the word Rabati; 2) the unmanaged, spontaneous process of giving names, which is caused by the carelessness of the relevant structures;

3. Among valid alternative place names, in terms of prevalence, the Castle of Akhaltsikhe is preferred; regarding the Castle of Lomsia, there is the issue of restoration of historical place name which is closely related to the policy of planning of a language, as well as other Kartvelological studies;
4. In *historical place name*, we mean the names of such places, which experienced a break with the historical memory of the nation totally or partly. Their preservation should mean not only searching in historical sources and registering in the scientific literature but in every logically determined case (when there is a reason for this), to activate - to restore, to move forward. The place name Lomsia (//Fortress Lomsia) is noteworthy for this reason. In addition, according to the derivation, it is more flexible, as it is simple-based.